გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №2(136) 2017 წ. 16-31 იანვარი ფასი 50 თეთრი

19 იანვარი – ნათლისღება

წმინდა წერილი იოანე ნათლისმცემელს ანგელოზს უწოდებს, რომელმაც მესიაზე მიუთითა. ღვთის გზა ადამიანთა გულებზე გადის. მთები და ბორცვები ამ გზაზე ჩვენი ამპარტავნებაა. იგი კლდესავით აღმართულია და ზეგარდმოსულ მადლს გულისკენ მიმავალ გზას უღობავს. ხევები, ფლატეები, უფსკრულები ამ გზაზე მოასწავებს ჩვენს ცოდვებს და ცოდვით დაცემებს, მრუდე – სიცრუეს, პირმოთნეობასა და სხვა ცოდვებსა და მანკიერებებს.

მეფე თავის სამფლობელოს დათვალიერებას რომ მოიწადინებდა, მისი ხელქვეითნი ასუფთავებდნენ, აფართოებდნენ გზებს, აგებდნენ ახალ გზატკეცილებს, ხიდებს. ღვთის სამკვიდრო ადამიანის გულია. როგორ უნდა მოვასწოროთ გულისკენ მიმავალი სულიერი გზები? – მხოლოდ და მხოლოდ ცოდვების ეკლესიური მონანიებით.

იოანე წინამორბედი ამბობდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულია ღვთის სასუფეველი, სინანულის გარდა სასუფევლისკენ მიმავალი გზა არ არსებობსო. ნათლობის მიღების მსურველები იოანეს მდინარე იორდანეში შეჰყავდა, აქ იღებდა მათგან აღსარებას და ღმერთს ევედრებოდა მათი ცოდვების მიტევებას. ამის შემდეგ იგი წარმოთქვამდა: „გნათლავთ მომავალი მესიის სახელით“, – გვაუწყებს საეკლესიო გადმოცემა.

წმინდა მამები გვამცნობენ, სულიწმინდის პირველი ნიჭი საკუთარი ცოდვების გაცნობიერებაა. ღვთის მადლი ადამიანის გულს რომ ეხება, მაშინ იგი გრძნობს, რომ შორსაა ღვთისაგან. სიკვდილის წინ ანტონი დიდს უთქვამს: მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრება სხვა არა იყო რა, თუ არა ცოდვათა გამო გამუდმებული ტირილიო. ზოგიერთისთვის გაუგებარია, რად ატარებენ მოღვაწენი მთელ ცხოვრებას სინანულში. ერში ბევრი მძიმე ცოდვას სჩადის, მაგრამ ეს არ აწუხებს და თავს ცოდვილადაც არ თვლის.

ადამიანმა უნდა გააანალიზოს თავისი საქციელი, სიტყვები, გულისთქმა. წმინდა მამებს ასეთი მაგალითები მოჰყავთ: მღვრიე წყალში არაფერი ჩანს, მაგრამ თუ დავაყენებთ, დაიწმინდება და მასში პატარა კენჭები და ქვიშაც კი გამოჩნდება. ბნელ სარდაფში არაფერი ჩანს, ხოლო თუ მასში მზის შუქი შეაღწევს, არა მარტო საგნები, სხივის ნათელში მტვრის ნაწილაკებიც კი გამოჩნდება. რაც მეტად იწმინდება ადამიანის სული, მით უფრო ცხადად ხედავს იგი თავის ცოდვებს, ღრმად აცნობიერებს თავის დაცემას.

ბოდბედან ნინოწმინდამდე

(საგარეჯოში გაგონილი)

ნინოობა დღეს
თითქმის უცვლელად
ამ გზებზე ქარნი
ქრიან ძლიერნი.
იფარებიან
გზები ბურუსით,
თითქოს... რაღაცას
მოელიანო...
ცას შეავედრებს
დათოვლილ სოფლებს, -
ნათელი ღამე
გზაზე დგებაო:
ბოდბედან თვისი
კაბის შრიალით,
ამბობენ, ნინო
მობრძანდებაო.

დასუფთავების აქცია

24 იანვარს კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის ირაკლი ქადაგიშვილის ინიციატივით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია მოეწყო. აქციაში ***კახეთის გუბერნატორის მოადგილე ირაკლი შიოშვილი***, ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი***, ***გამგებლის მოადგილე გიორგი რევაზიშვილი***, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები და მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული. – მსგავსი აქციებიი სისტემურ ხასიათს მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს გარემოს სერიოზულ დასუფთავებას და შესაბამისად, გარემო, ადამიანთა სამყოფელი დაბინძურებსგან იქნება დაზღვეული, – განაცხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

17 იანვარი, 2017წ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. მან დაწვრილებით გამოიკითხა მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში არსებული მდგომარეობა. როგორც გამგებლის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული ზეპირი ინფორმაციიდან გაირკვა, მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების პრობლემებია ბადიაურში, ხაშმსა და ყანდაურაში. თათბირზე დაისახა გზები აღნიშნული პრობლემების დროულად მოსაგვარებლად. კონკრეტული დავალება მიეცა გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსს ბექა ფეიქრიშვილს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ***ნიკო ჯავახიშვილმა*** *ვრცელი ინფორმაცია გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული მეტეოსადგურების ფუნქციონირების შესახებ. როგორც მან აღნიშნა: – საერთაშორისო ორგანიზაცია „FAO"-ს („იხსენი მსოფლიო შიმშილისაგან") ხელშეწყობით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მანავსა და საგარეჯოში დამონტაჟდა მეტეოროლოგიური სადგური, რომელთა საშუალებითაც ჩვენ გვეცოდინება ნიადაგის ტემპერატურის, ჰაერისა და ნიადაგის ტენიანობა, ამასთან გვაძლევს უტყუარ და აუცილებელ ინფორმაციას მრავალწლიან კულტურებში ისეთი კლასიკური დაავადებების გამოსავლენად, როგორიცაა ჭრაქი, ნაცარი. მეტეოსადგურების მოქმედების რადიუსი 5 კმ -ს შეადგენს. ამდენად, სოფელ მანავში ალიკა თოროზაშვილის კუთვნილ ვენახში მეტეოსადგურის მოქმედების არეალი იქნება თავად სოფელი მანავი, თოხლიაური, დიდი ჩაილური, ნაწილობრივ პატარა ჩაილური (სულ 2000 ჰა-ს დაფარავს), ხოლო საგარეჯოში კახა ხუციშვილის ნაკვეთში დამონტაჟებული მეტეოსადგურის – საგარეჯოს, გიორგიწმინდის და ნაწილობრივ ნინოწმინდის ტერიტორიები.*

აღნიშნული მეტეოსადგურებიდან მოწოდებული ცნობები, ინფორმაციები ჩვენი სამსახურის თანამშრომლების მიერ ჯერ-ჯერობით უფასოდ იქნება მიწოდებული ფერმერებისათვის. აქ ჩართული იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროებიც.

თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ისაუბრა იმ ქმედითი ღონისძიებების ოპტიმალურ ვადებში გატარების შესახებ, რომელიც ეხება გარემოს დაცვას, იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიც მიმართული იქნება. გარემოს მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად – როგორც მან აღნიშნა, გარემოს დაცვასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქსა თუ ცალკეულ სოფლებში გამოიყოფა სპეციალური ადგილები, სადაც დაგროვდება მოსახლეობის მიერ გამოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები პოლიეთილენისა და ქსოვილის ტომრებით და ამ ნარჩენებს სპეციალური მანქანით გადაიტანენ ნაგავსაყრელზე, რითაც თავიდან იქნება აცილებული გარემოს დაბინძურება და სტიქიური ნაგავსაყრელები. აღნიშნულ საკითხს თათბირის მონაწილეთაგან მსჯელობა მოჰყვა. დაისახა კონკრეტული ამოცანები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის მორიგ სხდომას ამავე მუნიციპალიტეტის ***საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიღების შემდეგ დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებს შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოცდახმარების სამსახურის უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა.***

დღის წესრიგის II საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016წ 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების გამგემ სოფიო შაქარაშვილმა.***

მესამე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა პაატა მარგველაშვილმა.***

საკითხებზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცებს შესახებ" და „საგარეჯოს მუნიციპალტეტში 2017 წელს განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა გიორგი ქურდოვანიძემ.***

საკითხზე „საქართველოს ეროვნული ინტელექტჩემპიონატი – „ეტალონი-2016-2017"-ის რაიონულ ტურში გამარჯვებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე ლევან გუჯეჯიანისთვის 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე სტიპენდიის დანიშვნის შესახებ" მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჯაბადარმა***.

მოსმენილ და განხილულ საკითხებზე საკრებულოს წევრებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ანგარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი

„თუ შეთანხმებულად ვიმუშავებთ"



„საკრებულოს წევრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მან საკრებულოს წევრის უფლებამოსილებანი უნდა განახორციელოს საკუთარი შეხედულებისამებრ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ საკრებულოს წევრმა არ უნდა მოუსმინოს ამომრჩევლებს. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიით ადგილობრივი თვითმმართველობა განიმარტება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განმახორციელებელი, ვალდებულია იცნობდეს და საქმიანობაში ხელმძღვანელობდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებით. ამ მოთხოვნის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი თავისუფალი მანდატის განსაზღვრისას მიუთითებს: „თავისუფალი მანდატი საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს ამომრჩევლებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით" – ვკითხულობთ საკრებულოს წევრის სამაგიდო წიგნში.

დღეისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 36 დეპუტატი ანხორციელებს კანონით მინიჭებულ თავის უფლება-მოვალეობებს. თითოეულ მათგანს თითქმის ყოველდღიურად უხდება ამომრჩეველთან ურთიერთობა – დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, სოფლის მეურნეობისა თუ ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული პროგრამებით განსახორციელებელი პროექტები მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესს იწვევს. ამასთან, სოციალურად დაუცველთა ბაზას რამდენიმე ქულით აცდენილი მოქალაქე ყოველდღიურ პრობლემებთან გამკლავებისათვის დახმარებას ითხოვს... ასეთ შემთხვევაში დეპუტატი თავს ვალდებულად თვლის და შეძლებისდაგვარად, კანონის ფარგლებში ცდილობს დახმარება გაუწიოს მოქალაქეს... მიუხედავად იმისა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს ყოფითი ხასიათის პრობლემების მოგვარება, როგორიცაა გზების, სასმელი, სარწყავი წყლების ქსელებისა და სათავე-ნაგებობების რეაბილიტაცია, სოფლად კვლავ რჩება მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც დეპუტატის აქტიურ, ქმედითუნარიან ჩარევას ითხოვს. გასულ წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მარტო „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით 70 პროექტის განხორციელება მოხდა, რომელთაგან უმეტესი სწორედ ზემოთაღნიშნული პრობლემების მოგვარებას ითვალისწინებდა, თუმცა ახალ, 2017 წელსაც რჩება რიგი საკითხები, რომლებიც გასული წლის ინფრასტრუქტურული პროექტებიდან მორჩენილი თანხებითაც გაკეთდება და „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით დასაფინანსებელი პროექტებითაც.

2016 წელს სოფელ წყაროსთავში 4 პროექტი განხორციელდა „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით: მოეწყო გარეგანათება და მოხდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რაშიც მთლიანად 17392 ლარი გაიხარჯა. რაც შეეხება წინა წლებში „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით გათვალისწინებული პროექტებიდან მორჩენილ თანხებს, გაგრძელდება გარე-განათების მოწყობის სამუშაოები.

რაც შეეხება სოფელ ნინოწმინდას, აქ გასულ წელს მოეწყო სკვერი, მოხდა სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, რაზედაც „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამიდან 48837 ლარი გაიხარჯა. 2017 წელს კი გასულ წლებში „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამიდან მორჩენილი თანხებით ნინოწმინდის №11 და №12 ქუჩებზე მოეწყობა ცხაურები, სოფლის საბავშვო ბაღსა და სოფლის №1 ქუჩის I შესახვევში მოხდება სასმელი წყლის შეყვანა. სულ ამ პროექტების განხორციელებას 7282 ლარი მოხმარდება.

მალე ორივე სოფლის მოსახლეობა სოფლის კრებებზე იმ პრობლემების მოგვარებაზე იმსჯელებს, რომლებიც „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით უნდა განხორციელდეს 2017 წელს. მათთან ერთად ამ საკითხებზე იმსჯელებს და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს აღნიშნული ***სოფლების მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში*** **ელდარ მეფარიძე.** თუნდაც იმ მიზეზით, რომ იგი ამავე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. დღეს იგი იმ საკითხების შესახებ გვესაუბრება, რომლებიც მან გასულ, 2016 წელს განახორციელა, როგორც ნინოწმინდისა და წყაროსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

– ჩემის აზრით, როგორც ასეთის, საკრებულოს დეპუტატის საქმიანობას მოსახლეობაში და შესაბამისად საკრებულოს საქმიანობას, ცალკე აღებულს ვერ განვიხილავთ. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობა მაშინ არის ეფექტური და ასრულებს თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, როდესაც თვითმმართველობის ეს ორი შტო შეთანხმებულად მუშაობს. შესაბამისად, ჩემს სადეპუტატო სოფლებში ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს გამგებლის წარმომადგენლებთან სოფელ ნინოწმინდაში თამარ გარსევანიძესთან და გამგებლის წარმომადგენელთან სოფელ წყაროსთავში გიორგი კერატიშვილთან. ერთობლივად ხდება სოფლებში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვა. ნინოწმინდაში და წყაროსთავში თითქმის მოგვარებულია ყველა ძირითადი პრობლემა. წლების განმავლობაში ეს სოფლები

დასასრული მე-3 გვერდზე

ანგარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი

„თუ შეთანხმებულად ვიმუშავებთ“

დასასრული

განიცდიდა სასმელი წყლის დეფიციტს. ამჟამად არტეზიული ჭების დაბურღვის ხარჯზე წყლის დებეტი საგრძნობლად გაიზარდა. სოფლებში არის მოსახლეობისათვის საკმარისი წყალი, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს არასწორი განაწილება და მოძველებული შიდა ქსელები, რისი მოწესრიგებაც ეტაპობრივად ხორციელდება და ვიმედოვნებთ, 2017 წელს მთლიანად გამოსწორდება მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა.

ამ სოფლებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მყარი ნარჩენების გატანის მხრივ, მაგრამ, სრულად რომ მოგვარდეს ეს პრობლემა, საჭიროა უბნებში დაემატოს ნაგვის ურნები და მოხდეს სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია.

მაქსიმალურად ხდება სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეების დახმარება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას აქვს სოციალური დახმარების კარგი პროგრამა. მასში ასახულია ყველა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებები. იქნება ეს ერთჯერადი ფულადი დახმარება, მედიკამენტების შეძენის ხარჯები, ოპერაციის ხარჯები თუ შშმ ბავშვთა დახმარებები. მაგრამ, არიან მოქალაქეები, რომლებსაც მაღალი სარეიტინგო ქულები აქვთ და ვერ ხვდებიან ამ პროგრამაში. ასეთ მოქალაქეებს საკრებულოდან ვუწევთ რეკომენდაციას და მაქსიმალურად ხდება მათი პრობლემების მოგვარება, რისთვისაც მოქალაქეების სახელით მადლობას ვუხდი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ მეველუდ დუჩიძეს და გამგეობის შესაბამისი საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამსახურის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების განყოფილების უფროსს სოფო შაქარაშვილს და ამავე განყოფილების უფროს სპეციალისტს ქეთევან ბედიაშვილს.

სოფელ ნინოწმინდაში ფუნქციონირებს ქალთა საინიციატივო ჯგუფი, ქალბატონ ელენე სამხთუაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფთან თანამშრომლობით მაქსიმალურად ხდება სოფელში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაწყვეტის გზების ძიება.

როგორც საპატიო წევრი აქტიურად ვთანამშრომლობ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „თანამშრომლობა უფლებებისათვის“ – ეს ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს შშმ ბავშვთა, მრავალშვილიანი დედების, ეკომგრანტებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებზე. ორგანიზაციის დირექტორია ქნი ცინარი კონიაშვილი. ეს ორგანიზაცია შშმ ბავშვების პრობლემების მოგვარებაში აკეთებს ძალიან საჭირო საქმეს. ორგანიზაცია მეხმარება ამ ჯგუფის მოქალაქეთა სოციალური პრობლემების მოგვარებაში, რაც მდგომარეობს სხვადასხვა ფონდებთან დაკავშირებაში, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ხარჯების მოძიებაში, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ცინარი კონიაშვილს.

როგორც აღვნიშნეთ, ნინოწმინდისა და წყაროსთავის მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. გასული წლის საკრებულოს ბოლო სხდომაზე საკრებულოს წევრებმა და მონაწილეებმა მის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინეს. აღნიშნული კომისიის სამუშაო საკმაოდ დიდი მოცულობისაა და მეტ სიზუსტეს, დაკვირვებას მოითხოვს, თუ რატომ, ამას თავად ბატონი ელდარი გაგაცნობთ:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია აერთიანებს 10 წევრს. 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა 21 სხდომა. სხდომებზე განხილული იქნა გამგეობიდან შემოსული ინფრასტრუქტურული პროექტები და მოქალაქეთა განცხადებები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების დამისამართებას.

61 მოქალაქის საცხოვრებელ სახლს კომისიამ მიანიჭა ნუმერაცია. 2016 წლის სექტემბრიდან განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაცია დაევალა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რის გამოც კომისიაში აღარ განიხილება მოქალაქეთა განცხადებები ნუმერაციასთან დაკავშირებით.

კომისიაში შემოვიდა მოქალაქეთა ორი კოლექტიური განცხადება ქუჩის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით, რომელიც არ დაკმაყოფილდა დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის გამო. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე კომისიამ მოახდინა იორმუღანლოსა და ლამბალოს დამისამართებაში არსებული ხარვეზის გამოსწორება, რის გამოც მოქალაქეები ვერ ახერხებდნენ პირადობის მოწმობის მიღებას.

მართალია, წინა წლებთან შედარებით გამოსწორდა გამგეობასთან კომუნიკაცია, მაგრამ ძნელად ხდება გამგეობიდან იმ დოკუმენტაციის მოპოვება, რაც ეხება დაგეგმილ და განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. კომისიის წევრების აზრით, საჭიროა უფრო მჭიდრო ურთიერთობა გამგეობის შესაბამის სამსახურებსა და საკრებულოს კომისიას შორის. საჭიროა პრობლემების გადაჭრის პროცესებში მეტად იქნეს კომისია ჩართული. გამგეობის შესაბამისმა სამსახურმა კომისიასთან ერთად დეტალურად უნდა შეისწავლოს და გააანალიზოს ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯთაღრიცხვები. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ძირითადი მიზეზი კომისიის წევრების აზრით არასრულყოფილი ხარჯთაღრიცხვებია.

იმედი მაქვს მომავალი წლიდან ეს პრობლემა მოგვარდება, რაც დადებითად წაადგება მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ საქმიანობას ინფრასტრუქტურული მიმართულებით.

სოფელს ექიმი ეიმედება

თინიკო ამბარდნიშვილმა 1985 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა ჯერ საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ფიზიოთერაპიულ განყოფილებაში დაიწყო, შემდეგ კი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სადგურში. 1988 წლიდან პირველად ჯანდაცვაში დაიწყო მუშაობა და ოჯახის ექიმის სტატუსით თოხლიაურელებს ემსახურება. მიმდინარე წლის სექტემბრიდან კი სოფელ სათაფლეს მოსახლეობის ჯანდაცვის სამსახურშია. აქ ყოველ ოთხშაბათ დღეს ნაცნობის მანქანის გამოჩენას სულ სხვანაირი მოლოდინით ელიან – იციან, ამ მანქანით მათი ექიმი თინიკო და ექთანი უნდა მოიყვანოს სათაფლეს გამგებლის წარმომადგენელმა ემზარ გორგილაძემ.

თინიკო ექიმის თქმით: – აქ, ოფიციალური მონაცემებით 100-მდე მოსახლეა, მაგრამ მუდმივ მაცხოვრებლად აქ 60 კაცია. ბავშვიანი ოჯახები ძირითადად გასულები არიან, ისინი მეზობელ სოფლებში, ან ქალაქში ცხოვრობენ ერთი მიზეზის გამო – სოფელში არ არის არც საბავშვო ბაღი და არც სკოლა. თუმცა, არიან ბავშვები და მოზარდები, რომელთა ოჯახებს სხვაგან წასვლის საშუალება არ აქვთ, ამიტომ ისინი სახლის პირობებში იღებენ ელემენტარულ განათლებას.

გამოკვეთილი დაავადებები, რომელიც შეიძლება ახასიათებდეთ აქაურ მაცხოვრებლებს, არ არის. ისინი წლების განმავლობაში (ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით) ვერ სარგებლობენ საექიმო მომსახურებით. ვფიქრობთ, ჩვენი დღევანდელი სამუშაო გრაფიკი მისაღები უნდა იყოს მათთვის.

იმ დღეს თინიკო ექიმთან იმ პაციენტებს ჰქონდათ ვიზიტი, ვისთანაც წინა კვირას დაიგეგმა ვიზიტი და ისინიც, ვისაც დასჭირდა ექიმის კონსულტაცია: ვერა დიღმელაშვილი, გალინა ჟელტკოვა, ავთანდილ გელაშვილი, ზოია ლიპარტელიანი, მარინა ლოლაძე, ნადეჟდა რემიზოვა.

თინიკო ამბარდნიშვილის ოჯახის გაცნობას კი კიდევ ერთხელ შევეცდებით. ალბათ ამაზე ყველაზე დიდი ინტერესი კი სათაფლის მოსახლეობას აქვს.

თინიკოს ჰყავს სამი შვილი და ერთი შვილიშვილი. მეუღლე მირიან ტაბიძე თბილისის ივ ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელია. უფროსი შვილი – თამარი დაქორწინებულია და ერთ-ერთი წარმატებული ტურისტული კომპანიის იტალიური და ესპანური განყოფილებების მენეჯერია. მარიკა – ფინანსთა სამინისტროს მეთოდოლოგიური განყოფილების მებაჟე-ოფიცერია, გიორგი – ერთ-ერთი კერძო კომპანიის პროგრამისტი.

ამაგდარი

ხანძრებთან ბრძოლის 41 წლიან გზაზე

ამ ქვეყნად ყველა პროფესია საპატიო და საპასუხისმგებლოა, მაგრამ ალბათ ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ ამ მხრივ სხვათაგან გამორჩეულია მეხანძრე-მაშველების პროფესია, რომელთაც არცთუ იშვიათად სხვათა ქონების, სარჩო-საბადებლისა თუ ჯანმრთელობის გადარჩენა საკუთარი ჯანმრთელობისა თუ სიცოცხლის რისკის ფასად უხდებათ. ამ მხრივ მეტად საინტერესო და „მდიდარი“ შრომითი გამოცდილება აქვს შსს სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კახეთის (თელავის) საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის“ აწ უკვე ყოფილ თანამშრომელს, ***სამოქალაქო უშიშროების კაპიტან ფრიდონ ბეჟიაშვილს***, რომელმაც პირველად გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს შედგა ფეხი ამ სამსახურში და ოთხ ათეულ წელზე მეტი უდალატოდ ემსახურა საპასუხისმგებლო საქმეს.

გიორგიწმინდელი მეხანძრის ნათლობის ადგილი მაშინდელი საგარეჯოს სამკურნალო შრომითი პროფილაქტორიუმი გახლდათ, სადაც 1985 წლამდე სახანძრო სამსახურს ედგა სათავეში. აქედან იგი სამუშაოდ საგარეჯოს სახანძრო სამსახურში გადადის და აღარც მიუტოვებია ერთხელ და სამუდამოდ არჩეული პროფესია. მუშაობდა ხანძარსაწინააღმდეგო პოლიციაში, შემდეგ სახანძრო-სამაშველო სამსახურში უფროს ინსპექტორად, უფროსის მოადგილედ და როგორც იტყვიან ამ კოლექტივის სული და გული გახლდათ. გავლილი აქვს უმცროს და საშუალო მეთაურთა გადამზადების კურსები.

ორმოცდაერთწლიანი მუშაობის მანძილზე, ვინ მოთვლის, რამდენი ხანძრის ჩაქრობაში მიუღია მონაწილეობა, დაწვა-განადგურებისაგან უხსნია სახელმწიფოსა თუ მოსახლეობის კუთვნილი ქონება, საცხოვრებელი ბინები, ვენახები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ადამიანის სიცოცხლე. მათგან ყველაზე მეტად კი რაიონში გასული საუკუნის 70-იან წლებში მომხდარი ყოფილი მატყლის გადამამუშავებელი ფაბრიკის „გრანდიოზული“ ხანძარი ახსოვს, რომლის ჩაქრობას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ასევე „გამორჩეულად“ დაამახსოვრდა საგარეჯოს პოლიმერული მილების ქარხანაში ხანძრის შემთხვევა, რომლის ჩაქრობასაც საკმაო ძალისხმევა დასჭირდა.

ბოლო ფართო მასშტაბის ხანძარი, რომელშიც მონაწილეობის მიღება მოუხდა, გიორგიწმინდაში მოსახლე მეკოკიშვილების საცხოვრებელ ბინებში გაჩენილი ხანძარი გახლდათ, რომლის ლიკვიდაცია გარეჯელმა მეხანძრეებმა დროულად და ზარალის გარეშე შეძლეს. ასეთი შემთხვევები კი ვინ მოთვლის რამდენი ყოფილა მის საქმიანობაში. ამ ცოტა ხნის წინ ბ-ნ ფრიდონს 60 წელი შეუსრულდა და ასაკის გამო ყველასათვის მოულოდნელად „პენსიაზე“ გაუშვეს... დღეს ამ გადასახედიდან თვალს ავლებს თავის განვლილ ცხოვრებას და ნათელ წერტილებად ჩანს თავისი ოთხი ვაჟკაცის დაბადება, მათი ამქვეყნად მოვლენის დიდი სიხარული, თავის შრომით საქმიანობაში გამოჩენილი მამაცობისათვის უამრავი მადლიერი ადამიანი, ჯილდოები, სიგელები, მადლობები და მათ შორის უმძიმესი და უსასტიკესი დღეც – მისი შვილის, ტყუპისცალი ვალერის ტრაგიკულად დაღუპვა. ხელებდაკაპიწებული თუ ცეცხლს, სტიქიას ებრძოდა, შვილის სიცოცხლის გადასარჩენად არც თავს ზოგავდა და არც ფინანსებს, მაგრამ ავტოკატასტროფაში მოყოლილმა ახალგაზრდის გულმა მიყენებულ ტრავმებს მხოლოდ 3 თვე გაუძლო... ფრიდონი სულით არ დაცემულა, ახლა უფრო მეტად გააასკეცა თავისი ენერგია – სამ შვილს ამ ტრაგედიის გადატანაში უნდა შეხიდებოდა და სამსახურშიც თანაგრძნობის, თავის დაზოგვის მაგიერ უნდა ეშრომა, კვლავაც სხვისთვის ეჩვენებინა მაგალითი. და ეს ასეც იყო...

– ამ ბოლო ორ თვეს სამსახურში ხელშეკრულებით მეხანძრედ ვმუშაობდი, – აღნიშნა ჩვენთან საუბარში გამოცდილმა მეხანძრემ, – ჯერ ჩემს თავს ამ სამუშაოსათვის დაბერებულად და უმაქნისად არ ვთვლი. დღესაც ბევრ ჩემს ახალგაზრდა კოლეგებზე უკეთ თუ არა, არანაკლებ შემიძლია მეხანძრის დადგენილი ნორმატივების შესრულება-ჩაბარება, მაგრამ რა ვუყოთ. სამაგიეროდ ჩემს საქმეს ამ სამსახურში ჩემი შვილიშვილი და სეხნია გააგრძელებს.

იმედია, საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ოცეულის მეთაური, უმცროსი ფრიდონ ბეჟიაშვილი ისევე კეთილსინდისიერად და ერთგულად გააგრძელებს მუშაობას, როგორც უფროსი ფრიდონ ბეჟიაშვილი. ჩვენი მხრიდან კი სამი შვილის მამასა და ოთხი შვილიშვილის პაპას ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და წარმატებებს თავის მომავალ საქმიანობაში.

გ. დაბახიშვილი

ეცნობიან და სხვებსაც აცნობენ მშობლიურ ადგილებს

ყველაზე საინტერესო და ხალისიანი არდადეგები

ახალი წელი ყველსათვის საყვარელი --მხიარულებასთან, ოცნებების ახდენასთან მოლოდინებთან, სიახლეებთან დაკავშირებული დღესასწაულია. ამ პერიოდისათვის საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლშიც განსაკუთრებული სამზადისი იწყება. არც წლევანდელი ახალი წელი იყო გამონაკლისი. ლიდერთა კლუბის წევრებმა ეთერ ცხვარიაშვილმა და ნიკოლოზ გვარიძიშვილმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პროექტების, პროგრამებისა და მასობრივი ღონისძიებების სპეცია;ლისტთან ერთად შექმნეს სცენარი, რომლის მიხედვითაც მომზადდა და განხორციელდა ლიდერთა ჯგუფისა და სხვა წრეების ბავშვების მიერ საახალწლო მუსიკალური სპექტაკლი, რომელიც ორი დღის განმავლობაში --4 -5 იანვარს მიმდინარეობდა. 6 იანვრიდან კი მუშაობა დაიწყო საშობაო ბანაკმა, რომელიც 13 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა. ლიდერებმა ბანაკის პირველ დღეს წარმოადგინეს საინტერესო პრეზენტაციები თუ როგორ ხვდებიან ახალ წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ისინი მთელი ბანაკის განმავლობაში ბავშვებთან ერთად უყურებდნენ საშობაო ფილმებს, აწყობდნენ მათ განხილვას, მინი-ინტელექტთამაშებს, ხატავდნენ, ყოველი დღე სახალისო მინისპექტაკლით მთავრდებოდა. სწორედ საშობაო ბანაკის ფარგლებში, 2017 წლის 12 იანვარს გაიმართა ძალიან საინტერესო პროექტის „მე-მეგზური" პრეზენტაცია. ეს პროექტი გაგრძელებაა, უფრო სწორად

გამოხმაურება საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის გამგის ქალბატონი ქეთი გელაშვილის პროექტისა „მე ვარ ჩემი ქვეყნის მეგზური", რომელიც გასული, 2016 წლის ივნისის თვეში ჩატარდა თბილისში და სხვა 13 რაიონთან ერთად ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიდერთა კლუბის ორმა ნიჭიერმა გოგონამ ანანო ქურხულმა და ეთო ტეტიაშვილმა გააკეთეს პრეზენტაცია „ დავით გარეჯა" ... ჩვენ ჯერ კიდევ იმ დროიდან შევუდექით პროექტის გაგრძელებაზე მუშაობას. და აი, იმ დღეს, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში თავი მოიყარეს პრეზენტატორებმა სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან, ლიდერთა კლუბის წამომადგენლებმა, პედაგოგებმა, საშობაო ბანაკის მონაწილეებმა და ჩვენთვის, ყველასათვის საყვარელმა ანსამბლმა „მი-რე-ლა"-მ, თავის ხელმძღვანელთან ქალბატონ მარინა ურდულაშვილთან ერთად. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის გამგე , პროექტის ავტორი ქალბატონი ქეთი გელაშვილი, ამავე კაბინეტის წარმომადგენლები ელზა მერაბიშვილი და ნანა ბურკაძე, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ქალბატონი მანანა ცუცქირიძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენელი ქეთი ხაბაზიშვილი, მონაწილე პრეზენტატორების თემის ხელმძღვანელები: ანა ჭიაბრიშვილი, საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლის პედაგოგი, ნაზი ბერიძე -- საგარეჯოს № 4 საჯარო სკოლის პედაგოგი, მარინა ჭინჭარაძე -- პატარძეულის საჯარო სკოლის პედაგოგი და ეკატერინე ჭიკაძე-ვეშაპიძე --დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის პედაგოგი... ღონისძიება გაიხსნა ანსამბლ „მი-რე-ლა"-ს სიმღერით „ალილო", რომლის ტექსტისა და მუსიკის ავტორი გახლავთ ანსამბლის ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი. დამსწრე საზოგადოებას შევახსენეთ სასახლეში ჩატარებული იგივე პროექტი... და პრეზენტატორებს დავუთმეთ არეალი. ძალიან საინტერესო პრეზენტაციები ქართულ-ინგლისურ და რუსულ ენებზე გააკეთეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის" წევრებმა: ეთერ ტეტიაშვილმა და ეთერ ცხვარიაშვილმა -- „ნინოწმინდა", ლიზი გოგიშვილმა და ნინო(ნუცა) გაგნიაშვილმა -- „უჯარმა", მარიამ გაგნიაშვილმა და ნია დიღმელაშვილმა --„ წყაროსთავის იოაკიმე და ანას სახელობის ღვთისმშობლის ტაძარი", გიორგი სულიკაშვილმა და სალომე ურდულაშვილმა -- „პეტრე-პავლე" --ხელმძღვანელი ანა ჭიაბრიშვილი ,(ჯგუფში მუშაობდნენ აგრეთვე ნინო ბუზარიაშვილი და თამარ დარისპანაშვილი), ნინო უსტიაშვილმა -- „გვეწვიეთ პატარძეულში" -- ხელმძღვანელი--მარინა ჭინჭარაძე, მარიამ გურგენიძემ და მარიკა ბერულაშვილმა --„ჩემი სოფელი დიდი ჩაილური" -- ხელმძღვანელი ეკატერინე ჭიკაძე-ვეშაპიძე, დავით მეკოკიშვილმა --„საგარეჯო" --ხელმძღვანელი ნაზი ბერიძე, ნათია მარხვაშვილმა-- „ნინოწმინდა --პალატები მეფეთა" -- ხელმძღვანელი ლეილა ფაფიაშვილი. დღე გაგვილამაზეს ანსამბლ „მი-რე-ლა"-ს მომღერლებმა და საშობაო ბანაკის მონაწილეებმა. პროექტის ყველა მონაწილეს გადაეცა დიპლომი და მადლობის ფურცელი. საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მადლობას უხდის ყველას - სტუმრებს, მასპინძლებს, მონაწილე ბავშვებს და მათ პედაგოგებს პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის. მადლობა აღნიშნული სკოლების დირექციებს პროექტის მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის...

2017 წლის 13 იანვარს კი გაიმართა საშობაო ბანაკის დახურვა. ლიდერებმა და ბანაკის მონაწილე ბავშვებმა წარმოადგინეს ნაწყვეტი ქართული მიუზიკლის „ვერისუბნის მელოდიების" მიხედვით. ბანაკის ყველა მონაწილეს და ლიდერებს, რომლებმაც უშურველად, მოხალისეობრივ საწყისებზე იშრომეს მთელი არდადეგების მანძილზე გადაეცათ დიპლომები.

დასრულდა კიდევ ერთი ხალისიანი, ხმაურიანი, ხალასი საშობაო არდადეგები. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექცია მადლობას უხდის ბანაკის მონაწილეებს, ლიდერთა კლუბს და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სრულ შემადგენლობას საშობაო არდადეგების წარმატებით ჩატარებისათვის.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘ,

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი.

ჩვენ ვსწავლობთ ქართულს

ლამბალოს რეგიონული სასწავლო ცენტრი — აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის დამხმარე

როგორც ცნობილია, ქვეყნის ხელისუფლების მიერ საქართველოში ხორციელდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობისათვის ქართული ენის შესწავლის სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ახდენს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა. ეს სკოლა დაარსდა 2005 წელს და გააჩნია 10 რეგიონული სასწავლო ცენტრი, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებულ იორმუღანლოს თემში სახელწოდებით — ლამბალოს რეგიონული სასწავლო ცენტრი.

იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა აქ სახელმწიფო ენის შესწავლის კუთხით და რა იგეგმება მომავალში, გვესაუბრება ამ ცენტრის ადმინისტრატორი ᲔᲗᲔᲠ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

– 2014 წლიდან ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა და მათ შორის ჩვენი სასწავლო ცენტრი განახლებული პროგრამებით მუშაობენ — სახელმწიფო ენის სწავლება, საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება. სკოლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მომუშავე საჯარო მოხელეთა ერთიან სახელმწიფო სივრცეში ინტეგრაცია, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში მან, — სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა ხორციელდება ენის ფლობის ზოგადევროპული სტანდარტების მიხედვით, სამი (A1, A2, A3) დონის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობის ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურს შეისწავლოს ქართული ენა, ანდა, გაიღრმავოს ცოდნა ამ მიმართებით, ჩვენთან მუდამ ღიაა სასწავლო ცენტრის კარები. ლამბალოდან ტერიტორიულად დაშორებული სოფლების მოსახლეობისათვის კი, კერძოდ, დუზაგრამაში გახსნილია მობილური ჯგუფები, რაც გულისხმობს ცენტრის გარეთ სწავლებას.

2014 წლის აპრილიდან ლამბალოს რეგიონულმა სასწავლო ცენტრმა განაახლა სასწავლო პროცესი და დაიწყო საჯარო მოხელეთა გადამზადება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში. ცენტრის მსმენელთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ იორმუღანლოში არსებული საჯარო სკოლების პედაგოგები. 2014-2016 წლებში ჩვენს ცენტრში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით, ასევე ისარგებლეს საჯარო დაწესებულებების თანამშრომლებმა, საგანმანათლებლო დაწესებულებების უფროსკლასელებმა, აბიტურიენტებმა. სადღეისოდ კი სახელმწიფო ენის შესწავლა ყველა დაინტერესებული პირისათვისაა ხელმისაწვდომი და მთლიანად ეს პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

– როგორ დაიწყო რეგიონულმა სასწავლო ცენტრმა მუშაობა 2017 წლისთვის?

– 2017 წელს გაგრძელდება იმ სასწავლო პროგრამების შესწავლა, რომლებიც დავიწყეთ 2016 წელს. წელს ცენტრში ამ პროგრამას გაივლის სახელმწიფო ენის შემსწავლელი 6 ჯგუფის 60 მსმენელი. აქედან, 2 მობილური ჯგუფი გახსნილია სოფელ დუზაგრამაში, რომელიც საკმაო მანძილითაა დაშორებული სასწავლო ცენტრიდან და იქაურ მსმენელებს უჭირთ ლამბალოში ტრანსპორტირება. ცენტრის

დასასრული მე-6 გვერდზე

მოვუფრთხილდეთ გარემოს

„პროგრესი-2011“ — მუნიციპალიტეტში სისუფთავის გარანტი

ადრიან დილით, როცა საგარეჯოს მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ ტკბილ სიზმრებშია გახვეული, ამ სამსახურის მუშაკები უკვე ქალაქის ქუჩებში არიან. ჰგვიან, ასუფთავებენ, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ urnebში აგროვებენ ზოგიერთი უპასუხისმგებლო მოქალაქეებისა თუ სხვა მიზეზთა გამო მიმოფანტულ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს და ნაგავსაყრელზე გააქვთ. ცხრა საათისათვის კი ქალაქის ქუჩები და სკვერები გაწმენდილ-გალამაზებული იერ-სახით ეგებებიან პირველ გამვლელებს.

უკვე კარგა ხანია ამ საპასუხისმგებლო საქმეს ჩვენს მუნიციპალიტეტში შპს „პროგრესი-2011“-ის მუშაკები ემსახურებიან, სამსახური, რომლის თავკაცია ყველასათვის კარგად ცნობილი პიროვნება <u>ფრიდონ კოხტაშვილი</u>. *საგარეჯოელებს კარგად გვახსოვს ამ სამსახურის შექმნამდე ქალაქში არსებული ვითარებაც – ნაგვითა და სხვა ნარჩენებით დაბინძურებული ქუჩები და სავსე ნაგვის ბუნკერები იქ მოკალათებული მაწანწალა ძაღლებით და მღრღნელებით.*

– ჩვენი სამსახური საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ის ერთადერთი სამსახურია, რომლის 60 კაციანი კოლექტივი ქალაქ საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში ქუჩების დაგვა-დასუფთავებას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას და გამწვანების სამუშაოების შესრულებას ემსახურება, – გვეუბნება სამსახურის უფროსი, – ამ საქმიანობაში შედის მთლიანად ქალაქის ყველა და სოფლების ცენტრალური ქუჩების, ასევე კახეთის გზატკეცილის დაგვა-დასუფთავების სამუშაოები. კერძოდ, სოფელ ხაშმის დასაწყისიდან სოფელ შიბლიანის ბოლომდე. რაც შეეხება ჩვენს მომსახურებაში შემავალ სოფლებს, ესენია: პატარძეული, წყაროსთავი, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, თოხლიაური, მანავი. პირველი ივნისიდან კი მათ რიცხვს სოფელი ხაშმიც დაემატა. ქალაქის ქუჩების უმეტესობის დასუფთავება მდგომარეობისდა მიხედვით თითქმის ყოველდღიურად გვიწევს, სოფლებსა და ზოგიერთ ქუჩას კი ყოველ ორ დღეში ერთხელ აკითხავენ ჩვენი მუშაკები. დღეისათვის ჩვენი სამსახურის

განკარგულებაშია რვა ავტომანქანა – მათ შორის, ერთი სპეციალიზირებული 18 კუბიანი ნაგავმზიდი, ერთი 6 ათასლიტრიანი ავტოცისტერნა და 6 თვითმცლელი. მომავლისათვის პერსპექტივაში გვაქვს კიდევ რამდენიმე ერთეული მანქანის შეძენა.

რაც შეეხება სამსახურში დასაქმებულებს, აქ ბევრი კეთილსინდისიერი და თავისი საქმის ერთგული ადამიანი მუშაობს, რაზედაც მათ მიერ ყოველდღიურად დაგვილ-დასუფთავებული და გალამაზებული ქალაქის ქუჩებიც მეტყველებენ. სწორედ ამის გამოა, რომ მოსახლეობა მუდამ მადლიერი და კმაყოფილია მათი მუშაობით და თითქმის არანაირი პრეტენზია არ გამოთქმულა ჩვენი სამსახურის მიმართ. როცა ჩვენი მოსახლეობა ხედავს და ასე აფასებს ჩვენი მუშაკების მუშაობას, ეს მათთვის ერთგვარი სტიმულია მუშაობაში. როგორც სამსახურის დირექტორი, ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა დიდი ***მადლობა გადავუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელებს, მათ შესაბამის სამსახურებს*** იმ ყურადღებისა და თანადგომისათვის, რასაც ისინი იჩენენ ჩვენი სამსახურის, ამით კი მუნიციპალიტეტში სისუფთავისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართ. ასევე, მინდა შობა-ახალი წელი, ნათლისღებისა და წმინდა ნინოს ხსენების ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცო ჩვენს მოსახლეობას, საგარეჯოელებს და განვაცხადო, რომ ჩვენი სამსახურის მუშაკები მომავალშიც პირნათლად გამოვალთ მათ წინაშე ჩვენზე დაკისრებული პასუხისმგებლობის განხორციელების საქმეში. ამასთან, გეტყვით, რომ 2015-2016 წლებში გაწეულ მუშაობაში მიღწეული გარკვეული წარმატებებისთვის ჩვენმა სამსახურმა ნაციონალურ ბიზნეს-რეიტინგების გაერთიანების შეფასებით „დარგის ლიდერის“ წოდება მიიღო, რაც დიდი სტიმულია ჩვენი შემდგომი მიზანმიმართული საქმიანობისათვის.

გ. დაბახიშვილი

შპს „საგარეჯო“

პრობლემები, რომლებიც ნელ-ნელა გვარდება

შპს „საგარეჯო“ 2016 წლის ზაფხულიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაიწყო იმ მნიშვნელოვანი საქმეების კეთება, რომელიც მოიცავს: გზების მოსწორებას, მოხრეშვა-მოშანდაკებას, სანიაღვრე არხების გაწმენდა-გასუფთავებას, სასმელი და სარწყავი წყლების მიწოდების ხელშეწყობას, ქუჩის ღამის განათების საყრდენი ბოძების შეკეთებას, სასაფლაოს ტერიტორიების მოვლა-შეკეთებას, ხეების გადაბელვას და ფეხითმოსიარულეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, მოყინულ გზებზე ტექნიკური მარილის დაყრის უზრუნველყოფას, დასუფთავების მოსაკრებლის აღებას.

გასული წლის რამდენიმე თვეში შესრულებულ სამუშაოებზე გვესაუბრება ***შპს „საგარეჯოს“ დირექტორი სანდრო უსტიაშვილი:***

– ჩვენი საუბარი მინდა დავიწყო იმით, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან შპს „საგარეჯოს“ ბალანსზე გადმოვიდა 6 ერთეული სატრანსპორტო საშუალება (4 ტრაქტორი და 2 სატვირთო მანქანა), რომელთა საშუალებითაც ათეულობით სხვადასხვა მასშტაბის პროექტი განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. შეგვიძლია ჩამოვთვალოთ:

მაგალითად,:

სოფელ პატარძეულში

– გაიჭრა სასმელი წყლის არხი, სადაც ჩაიდო სასმელი წყლის მილი და განხორციელდა არხის მოსწორება;

ხაშმში

– მოიხრეშა და მოშანდაკდა სოფლის საჯარო სკოლისაკენ მიმავალი 500 მეტრი სიგრძის და 5 მეტრი სიგანის გზა.

– ე.წ. „აჭარელების“ დასახლებაში მოიხრეშა და მოშანდაკდა 250 მეტრი სიგრძისა და 5 მეტრი სიგანის გზა.

– სათავე წყლის ნაგებობასთან გაკეთდა დამბა, რომელიც დაიცავს სასმელი წყლის სისტემას დაზიანებისგან;

ნინოწმინდაში

– შესრულდა ხევის გაწმენდითი სამუშაოები;

– ე.წ. „აჭარელების“ უბანში მოიხრეშა და მოშანდაკდა შიდასაუბნო გზა.

– ე.წ. „აჭარელების დასახლებაში“ სტადიონისთვის გამოყოფილ ადგილზე შეზიდულ იქნა ბალასტი, დაახლოებით 150 მ3 ოდენობით;

უჯარმაში

– შესრულდა აქ არსებული ხევის გაწმენდითი სამუშაოები

გიორგიწმინდის თემში

– გიორგიწმინდასა და მარიამჯვარში გაიწმინდა სანიაღვრე არხი;

– მარიამჯვარში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის არხს;

– გიორგიწმინდაში განხორციელდა გზებისა და ხევების, ასევე, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოს გასუფთავება სამშენებლო ნარჩენებისაგან.

– გიორგიწმინდასა და მარიამჯვარში გაიჭრა სასმელი წყლის არხი და მასში მილების ჩაწყობის შემდეგ არხი მოსწორდა;

– მარიამჯვარში მოხდა ტყის ზონაში არსებული დაზიანებული სასმელი წყლის მილის აღდგენა;

თოხლიაურში

– განხორციელდა ე.წ. ყიასაანთხევის გაწმენდითი სამუშაოები;

– სოფლის საბავშვო ბაღის შენობასთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე განხორციელდა არსებული ორმოების ამოვსება, გზის მოხრეშვა-მოშანდაკება.

– სასმელი წყლის მაგისტრალის აღდგენის მიზნით გაიჭრა 120 მეტრი სიგრძის არხი, შეკეთდა წყლის მილის დაზიანებული მონაკვეთები და მოსწორდა;

მანავში

– გაიწმინდა და გასუფთავდა როგორც სანიაღვრე არხი, ისე სასმელი წყლის დამბა;

– მოიხრეშა და მოშანდაკდა სოფლის მოსახლეობის კუთვნილ სახნავ-სათეს სავარგულებამდე მისასვლელი 500 მეტრი სიგრძის საავტომობილო გზა;

– ე.წ. „ტურის უბანში“ განხორციელდა 200 მეტრი სიგრძისა და 5 მეტრი სიგანის საავტომობილო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება;

– ე.წ. „ტურის უბანში“ მოხდა უბნიდან უბანში გადასასვლელი ოთხი (გზის) შემაკავშირებელი ბოგირის აღდგენა;

დიდ ჩაილურში

– ნატანისაგან გაიწმინდა 750 მეტრი სიგანის სანიაღვრე არხი

ყანდაურა-ვერხვიანში;

–მოიხრეშა და მოშანდაკდა ამ ორი სოფლის დამაკავშირებელი გზა;

– მოიხრეშა და მოშანდაკდა ზემო ყანდაურის დამაკავშირებელი 2,5 კმ სიგრძის გზა და შიდასაუბნო გზები;

შიბლიანში

– ნატანისაგან გაიწმინდა და გასუფთავდა 1 კილომეტრი სიგრძის გზის სავალი ნაწილი;

– ცენტრალურ გზასთან განხორციელდა 100 მეტრი სიგრძის და 3 მეტრი სიგანის არხის გაწმენდითი სამუშაოები;

– განხორციელდა 600 მეტრი სიგანის სასმელი წყლის არხის გაჭრა, წყლის მილების ჩაწყობა და მოსწორება;

– ნატანისაგან გაიწმინდა სანიაღვრე არხი;

გომბორის თემში

– მოიხრეშა და მოშანდაკდა საუბნო გზები;

უდაბნოში

– მოიხრეშა და მოშანდაკდა საუბნო გზები;

საგარეჯოში

– ქეთევან წამებულის ქუჩაზე – მოიხრეშა და მოშანდაკდა 220 მეტრის მონაკვეთი;

– ერეკლე II-ს ქუჩაზე მოხდა 8 მეტრი სიგრძის მკვეთრად დაზიანებული ღვარსაშვები არხის რეაბილიტაცია;

– განხორციელდა ჯანგულაშვილისა და წერეთლის ქუჩების, აგრეთვე ქალაქ საგარეჯოში გამგებლის წარმომადგენლის ოფისის მიმდებარე ეზოს გასუფთავება სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან;

– მოიხრეშა და მოშანდაკდა ქალაქის მე-6 საბავშვო ბაღის ეზო;

– მოიხრეშა და მოშანდაკდა ჭანტურიას სახელობის ქუჩა;

– განხორციელდა ჯაფარიძის ქუჩის I და II ჩიხის 250 მეტრიანი სიგრძის საავტომობილო გზის მოხრეშვის სამუშაოები. 2016 წლის შემოდგომა-ზამთრის დასაწყისში მოსულმა ნალექმა უფრო მეტად დააზიანა აღნიშნული ქუჩის ჩიხები, რის გამოც აქ ავტომობილებსაც უჭირდათ გავლა;

– მოიხრეშა და მოშანდაკდა ე.წ. „ფანოზიანთ“ სასაფლაოსთან მიმავალი 120 მეტრი სიგრძის საავტომობილო გზა;

ეს რაც შეეხება ინფრასტრუქტურას.

შპს-ს ბალანსზე არსებული ავტომანქანა თვითმცლელი „ფორდ ტრანზიტი“ სოფელ ბადიაურის მოსახლეობას ემსახურება – აქედან თვეში 5-6-ჯერ ახორციელებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას.

ჩვენი სამსახური ასევე ახორციელებს დასუფთავების მოსაკრებელის აკრეფას, რაც ერთ სულ მოსახლეზე 20 თეთრს ითვალისწინებს. მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს წესი არ ვრცელდება სოციალური შეღავათებით მოსარგებლე კატეგორიაზე. ასეთები კი ჩვენი ქალაქის ტერიტორიაზე 499 კომლია. მოსახლეობიდან ამოღებული დასუფთავების მოსაკრებელი 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ბიუჯეტში შეტანილია 4500 ლარი.

მინდა გითხრათ, რომ ახალი, 2017 წელიც მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებით დავიწყეთ. ამაში ხელს მშრალი ამინდებიც გვიწყობს. სულ ახლახანს ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ სოფელ ნინოწმინდის ხევის დასუფთავებაში, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა შპს „პროგრესი-2011“ (დირექტორი ფრიდონ კოხტაშვილი).

ასეთი სახის ხევების დასუფთავება სხვა სოფლებშიც განხორციელდება, რადგან დღეს გარემოს დასუფთავება და ეკოლოგიური სისუფთავის დაცვა დღევანდელი ხელისუფლებისათვის განსაკუთრებულ, პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს.

აქვე აღვნიშნავ, რომ ხელოვნურად, სტიქიურად წარმოქმნილი ნაგავსაყრელები სერიოზულ პრობლემას უქმნის არა მარტო გარემოს, ცხოველებსა და ფრინველებს, უპირველესად მოსახლეობასაც. ეს პრობლემა უფრო მწვავდება ქარიან ამინდში. იანვრის დასაწყისში პატარძეულსა და ნინოწმინდის მიმდებარე ტერიტორიაზეც ორი ასეთი ტიპის ნაგავსაყრელი მოვასწორეთ.

ჩვენ ვსწავლობთ ქართულს

ლამბალოს რეგიონული სასწავლო ცენტრი — აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის დამხმარე

დასასრული

ადმინისტრაციამ გავითვალისწინეთ აღნიშნული სოფლის მოსახლეობის ინტერესები და საშუალება მივეცით საცხოვრებელი ადგილიდან ახლოს – დუზაგრამის საჯარო სკოლაში გაიარონ ჩვენი პროგრამები. დანარჩენი 4 ჯგუფის წევრები კი სწავლას ლამბალოს ცენტრში გადიან. ლამბალოს ცენტრის აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და სასწავლო რესურსებით, შექმნილია კომფორტული სასწავლო გარემო.

– რა სიახლეები იგეგმება ცენტრში სამომავლოდ?

– რაც შეეხება სიახლეებს,2017 წლიდან იგეგმება სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსების პარალელურად დაინტერესებული პირებისათვის გავხსნათ კომპიუტერის შემსწავლელი საბაზისო კურსები. ამ კურსებზე სწავლა უფასოდ შეეძლება ნებისმიერ საჯარო მოხელეს, ვინც სახელმწიფო ენას ფლობს მინიმუმ A-2 დონის ფარგლებში.

– როგორ და რა პრინციპით ხდება მსმენელთა მიერ სახელმწიფო ენის ფლობის ამ დონეების დადგენა?

– სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა ემყარება ენის შესწავლის ზოგადევროპულ სტანდარტებს და მიზნად ისახავს ენობრივი კომპეტენციის განვითარებას 4 მიმართულებით: წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი. აქცენტი კეთდება საკომუნიკაციო საჭიროებებზე, ყოველდღიურ სიტუაციებზე, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, მიღებული ცოდნის გაღრმავებაზე.

თითოეული დონე მოიცავს 120 საათიან სწავლებას – კვირაში სამ დღეს 6-8 საათის ხანგრძლივობით. შესაბამისად, კურსის ხანგრძლივობა 3-4 თვეა. სასწავლო კურსის დასრულების შემთხვევაში, რაც გულისხმობს 100 ქულიანი შეფასების სისტემიდან 70%-იან დაძლევას, მსმენელი სწავლას აგრძელებს მომდევნო დონეზე. რაც შეეხება მსმენელის ცოდნის დონის დადგენას, იგი განისაზღვრება პრეტესტის საშუალებით და ხდება მსმენელის შესაბამისი დონის ჯგუფში გადანაწილება.

– საჯარო მოხელეებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენლების გარდა სადღეისოდ თუ გყავთ სხვა კატეგორიის მსმენელი?

– რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც გადაიხედა მოსახლეობის ინტერესები და მოთხოვნები, მოიხსნა ბარიერები და ახლა ეს სერვისი ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერი მსურველისათვის.

– რას გვეტყოდით ცენტრის პედაგოგ-მასწავლებლების შესახებ?

– ლამბალოს რეგიონულ სასწავლო ცენტრში სახელმწიფო ენის სწავლებას უძღვებიან გამოცდილი და ენერგიული, მაღალკვალიფიციური, სერტიფიცირებული პედაგოგები ლელა ჭინჭარაძე და შორენა ბითაძე.

– როგორ შეაფასებდით ზოგადად ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლისა და თქვენი სასწავლო ცენტრის მუშაობას?

– თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის განხორციელებით აღნიშნული სკოლა და მისი რეგიონული ცენტრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალებას აძლევენ შეისწავლონ სახელმწიფო ენა, შეძლონ თვითრეალიზება, სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირება და ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა. 2014-2016 წლებში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით უკვე ისარგებლა 5891-მა ბენეფიციარმა და იმედია, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

ესაუბრა გ. დაბახიშვილი

27 იანვარი – ნინოობა

ნინო ბუზარიაშვილი:

„– მაკისრია პასუხისმგებლობა – ამ სახელს მოვუფრთხილდე“...

ნინო ბუზარიაშვილი საგარეჯოს III საჯარო სკოლის მეცხრეკლასელია. საოცარი ნიჭით – სათნოებით, ადამიანთა დიდი სიყვარულის ნიჭითაა დაჯილდოებული... უყვარს ლექსების, ესეების, ჩანახატების წერა... ნინოს ვთხოვეთ ორიოდე კითხვაზე პასუხი გაეცა და პასუხებისათვის ლექსებიც მოეყოლებინა...

– რატომ გქვია სახელი ნინო ...

– ხუთი იანვარი ჩემი დაბადების დღეა. ამ დღეს მოვევლინე პატარა ,უსუსური არსება ნინო, მაგრამ ჩემი სახელი შესაძლოა ბებიის სახელი ყოფილიყო ყველასაგან განსხვავებული, უცხო , თითქმის არავისთვის დარქმეული - ედიტი. მამაჩემსაც ძალიან უნდოდა ეს სახელი მეტარებინა,ხოლო ბებია ამის წინააღმდეგი იყო არ ვიცი რატომ, მაგრამ როგორც იხსენებენ არ უნდოდა იგივე ცხოვრება გამეტარებინა მის სახელ ქვეშ ,როგორიც თვითონ -სასიამოვნო ,მაგრამ ძალიან ხანმოკლე და მწარე. ამ ,2002 წლის იანვრის შენისლულ დღეებს წმინდა ნინოს ხსენების დღე, ოცდაშვიდი იანვარი, მოჰყვებოდა. აი, ამიტომაც შემარქვეს წმინდანად შერაცხული, წმინდა ნინოს სახელი ნინო.

– რა თვისებები გაქვს წმ. ნინოს დახასიათებიდან...

– წმინდა ნინოს ბიოგრაფიული ცნობების წყარო მისივე „ცხოვრებაა“. მისი ცხოვრება წარმოაჩენს და თვალწინ აცოცხლებს მის პერსონას, თვისებებს, ხასიათსა და ამტკიცებს იმასაც, რომ ის ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთა სწორი წმინდანი გახლდათ, რომელიც ვაზის ჯვრით შემოვიდა საქართველოში და იქადაგა ქრისტიანობა .მოაქცია მეფეები, დედოფლები და არა მარტო ისინი, ზოგადად მთლიანად საქართველო. ის რაღა თქმა უნდა, ძლიერი, უშიშარი, მებრძოლი და საამაყოა ქართველებისთვის... მეც რაღა თქმა უნდა, წმინდანის სახელის მატარებელი ვარ, ამიტომაც მაკისრია ის ვალდებულებები, რომ ამ სახელს მოვუფრთხილდე, დავიცვა და მუდამ ჩემი სახელის წარმოთქმისას ვიყო ამაყი, რადგანაც ჩემმა სახელმა გამახსენოს ისტორია, ისტორია ჩემი სარწმუნოებისა , ისტორია წმინდა ნინოსი, რომელმაც უამრავი დაბრკოლების, ყინვის, სიცივის თუ ეშმაკისგან მივლენილი ადამიანების მიუხედავად აღასრულა ნება უფლისა. მე წმინდა ნინო არ ვარ ... არ ვიცი რა თვისებები მომანიჭა უფალმა, მაგრამ ვიცი, რომ წმინდა ნინოს თვისებებსა თუ შესაძლებლობებს მე ვერასოდეს შევედარები...

– რა აკავშირებს ნინოწმინდას წმ. ნინოსთან?

– წმინდა ნინო ნინოწმინდაში შემოვიდა ქრისტიანობის საქადაგებლად. იმ დროისთვის გავრცელებული იყო კერპთაყვანისმცემლობა და ხდებოდა ადამიანთა მსხვერპლშეწირვა, ამიტომ ამის აღსაკვეცად წმინდა ნინომ ნინოწმინდაში ქრისტიანობა იქადაგა და როგორც ზოგიერთი ისტორიული წყარო და ისტორიკოსი(ალექსანდრე ელერდაშვილი) გვამცნობს, რომ მისი საძვალე შესაძლებელია არსებობდეს წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის ეზოში.

***

მე პოეტი ვარ,
შესაძლოა არც მქვია რაც ვთქვი...
მე სხვებზე მეტად შევიგრძენი
პირველი თოვა
და შესაძლოა არც კი ვიყო უკანასკნელი,
რომ იანვარში დავიბადე, როცა ათოვდა
ნადეკემბრალ,
ამოყოფილ ენძელებს თავზე ...

***

ადამიანებს ხშირად არ ჰყავთ სიხარულისა და ტკივილის გამზიარებლები
არადა, როგორ გვჭირდებიან ყოველწამს!

***

ძარღვებში პოეზია მიჩქეფს
და სხვა პოეტისგან განსხვავებით
ჩემი სისხლი სხვა ჯგუფისაა ...

***

(გული. სიყვარულის მიმოქცევის წრეები.)

გული სიყვარულისა და მონატრების მთავარი ორგანოა, რომელიც იკუმშება და ამოძრავებს სიყვარულსა და მონატრებას... ის გარედან შემოსილია გულის პერანგით, ანუ,სიყვარულით. გულის პერანგის შიდა ზედაპირი გამოყოფს მონატრებას, რომელიც ამცირებს ხახუნის ძალას(ზედაპიზე შემხებ ძალას) კუნთის შეკუმშვის დროს და ამ ძალის მეშვეობით ველარ ეხები მიწას ....

გული სიყვარულის ორგანოა. გულის ნაწილებია: ორი წინაგული და ორი, დიდი ხნის ჩაკეტილი პარკუჭები, რომლიდანაც სისხლი ველარ გადის არტერიებში, შესაბამისად არც არტერიებში გადასული სისხლი ბრუნდება გულში.

დიდი წრით ,რომელიც "შენ" ხარ, სისხლი მოივლის ამ ჩემს ორგანიზმს, მიაწვდის უჯრედებს ტკივილს, უიმედობასა და სხვა საჭირო "ნივთიერებებს" უჯრედებიდან წამოიღებს სიყვარულის ნარჩენებსა და თავის ადგილს დაუბრუნდება.

ტკივილისა და უიმედობის თანმიმდევრულ შეკუმშვას მოსდევს გულის დროებითი მოდუნება. ამის შემდეგ გული კვლავ იკუმშება და ასე გრძელდება...

გულის მარცხენა ნახევარში ყოველთვის მოძრაობს სიყვარულით მდიდარი "მე" , მარჯვენა ნახევარში კი სიყვარულით "ღარიბი" - "მე" . შენ აორტა ხარ და გულის მარცხენა ნახევრიდან სისხლის ნაცვლად სიყვარულს მპარავ ....

***

ჯიბეებს ვივსებთ
ხელცარიელი
ხელებით
და
ვდგავართ
წვიმაში
მე,
სიღარიბე
და სიმარტოვე.
ველით განაჩენს
გზას
ვენებივით დამჩნევია
მოგონებები,
ვერა შლის წვიმა...
ცა
ძარცვავს
თვალებს,
სიცარიელე ?!
არაფერია,
თვალები
კიდეც აიტანენ,
მიჩვეული ვარ.
გულის შიგნით
იმდენივე ცარიელი
ჰორიზონტია,
ხელების გაშლით
არაფერი მოგხვდება
ხელში ...
ჯიბეებს ვივსებთ
ხელცარიელი
ხელებით
და
ვდგავართ
წვიმაში
მე,
სიღარიბე
და სიმარტოვე.

ჭადრაკი

ლომაიას XX საერთაშორისო მემორიალზე

ნინო ესაიაშვილი ჭადრაკის მაგიდასთან, რომელიც ნინოწმინდა-საგარეჯოს ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ლუკამ (ლომიძე) საკუთარი ხელით გააკეთა და აჩუქა გარეჯელ ნორჩ მოჭადრაკეებს.

საახალწლოდ თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა ცნობილი ქართველი მოჭადრაკის თეიმურაზ ლომაიას XX საერთაშორისო მემორიალი 8-დან 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის.

ტრადიციულად მასში მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა. 8 წლამდე ასაკის გოგონებში ბრწყინვალედ იასპარეზა **ნინო ესაიაშვილმა** (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი და ნანი უნაფქოშვილი), რომელმაც 7 შესაძლებლობიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გადამწყვეტი იყო მეხუთე ტურში მისი შეხვედრა საქართველოს მოქმედ ჩემპიონ, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ანა შერაზადაშვილთან, რომელიც ჩვენი მოჭადრაკის გამარჯვებით დასრულდა. ამან ფაქტობრივად გადაწყვიტა ტურნირის გამარჯვებულის ბედი – ნინო დაჯილდოვდა თასით, ოქროს მედლითა და სიგელით.

8 წლამდე ასაკის ბიჭებში პირველად მონაწილეობდა 7 წლის **ლევან გენგაშვილი** (მწვრთნელი თენგიზ კობიაშვილი) და ეს დებიუტი საკმაოდ წარმატებული

სპორტი

აღმოჩნდა – 7 შესაძლებლობიდან 4 ქულით მან სერიოზული განაცხადი გააკეთა მომავალი წარმატებებისათვის. რომ არა გამოუცდელობა, შედეგი ალბათ უკეთესი იქნებოდა – ლევანმა ორ შეხვედრაში მოსაგები პოზიცია ვერ მიიყვანა გამარჯვებამდე. ასე, რომ სერიოზული ვარჯიშის შემთხვევაში მომავალში მისგან უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს უნდა ველოდოთ.

10 წლამდე ასაკის ბიჭებში გამოდიოდა 9 წლის **ზუკა გამრეკელაშვილი** (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე), რომელიც 6 ტურის შემდეგ 5 ქულით მეორე ადგილზე იმყოფებოდა. IV და V ტურებში მან დამაჯერებლად დაამარცხა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები, საქართველოს მოქმედი ჩემპიონი გიორგი სანიკიძე და II პრიზიორი დავით გოცირიძე. სამწუხაროდ, ბოლო ტურში დროის უკმარისობის გამო ვერ დაინახა ლამაზი კომბინაცია და საათი ჩამოუვარდა. საბოლოოდ IV ადგილი დაიკავა.

პირველი საგარეჯოელი წოლჭიმელი – ევროპის ორგზის ჩემპიონი

გასული წლის ჩვენი გაზეთის ერთერთ ნომერში ვწერდით, რომ მანავში, ნათლისმცემლის ერთ პატარა უბანში ევროპის ჩემპიონატების სამი გამარჯვებული სპორტსმენი ცხოვრობსო. ახლა მათ კიდევ ერთი მიემატათ. მათგან სამი სამბისტია – მსოფლიოს ორგზის და ევროპის სამგზის ჩემპიონი ირაკლი კუპატაძე, პრიზიორები – ნიკო მახარობლიშვილი და ბექა ტერტერაშვილი. მათი თანაუბნელი **დემნა ძალაძურაშვილი** კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის აქამდე სპორტის უცხო სახეობაში – წოლჭიდშია ევროპის ჩემპიონი და თანაც – ორგზის.

მანავის საჯარო სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ პირველად ვარჯიში მკლავჭიდში დამოუკიდებლად,შინაურ,როგორც ერთხელ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, „გლეხურ“ პირობებში დაიწყო, რაც არც შემდეგ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტობისას მიუტოვებია. ვარჯიშობდა როგორც ამ სასწავლებლის, ისე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში და მალე პირველი ოფიციალური წარმატებაც იზეიმა. 2010 წელს იმერეთში, ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანში ჩატარდა აქაური სპორტსმენის მერაბ არეგაძის სახელობის ტრადიციული საშემოდგომო პირველობა მკლავჭიდში, სადაც მან I ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მარჯვენა და მარცხენა ხელის გადაწევაში. ეს გახდა მკლავჭიდში მისი წარმატებების ათვლის დასაწყისი. იგივე შედეგით დაასრულა თავისი ასპარეზობა მან 2012 წელს გამართულ იგივე სპორტულ პაექრობაში. შემდეგ კი გახდა იმავე წლის სპორტული ფესტივალის „საქართველო-2012“-ის ჩემპიონი, როგორც მარჯვენა, ისე ცაცია ხელის გადაწევაში.

2013 წელი. კვლავ ვახანის ტრადიციული საშემოდგომო პირველობა და კვლავ ჩემპიონის ტიტული.

2014 წელი. დემნა იმავე ასპარეზობაში ორგზის ჩემპიონი ხდება,როგორც საკუთარ, ისე 100 კგ-მდე მოასპარეზეთა შორის. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ IV დია რესპუბლიკურ ტურნირში ახალგაზრდებს შორის კი ვიცე-ჩემპიონი გახდა 60 კგ წონით კატეგორიაში.

მანაველმა მკლავჭიდელმა წარმატებით იასპარეზა 2014 წელს ბადიაურში გამართულ სპორტულ ფესტივალში, სადაც II საპრიზო ადგილი დაიკავა 60 კგ წონითი კატეგორიის მკლავჭიდელებში.

ბიცშეპსა და წოლჭიმში კი დემნა სრულიად შემთხვევით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ერთ-ერთი ვარჯიშისას მოხვდა, საქართველოს შესაბამისი სპორტული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რჩევით და როგორც „ბედნიერ ვარსკვლავზე“ დაბადებულ სპორტსმენთა ხვედრია, სპორტის ამ სახეობაშიც პირველივე ოფიციალურ შეჯიბრებაში გააკეთა სერიოზული განაცხადი – გახდა 2014 წელს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართული „უნივერსიადა-2014“-ის ჩემპიონი. ეს ტიტული მას არც მომდევნო, 2015 წელს დაუთმია ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი სპორტსმენებისათვის.

ჩვენი მკლავჭიდელისა და წოლჭიმელისათვის განსაკუთრებული წარმატებების წლად მაინც 2016 წელი გახდა. ჯერ იყო და საქართველოს ჩემპიონი გახდა 2016 წლის 11-12 მარტს თბილისში გამართულ ქვეყნის ჩემპიონატზე ძალისმიერ სპორტში, შემდეგ, სულ რაღაც ერთ თვეზე ცოტა მეტ ხანში კი უკვე ევროპის ჩემპიონობა იზეიმა თურქეთის ქალაქ სტამბულში 20-24 აპრილს გამართულ ევროპის ჩემპიონატში ძალისმიერ სპორტში სიმძიმეების ამოწევაში, სადაც მისი შედეგის გამეორება ევროპის ვერც ერთმა ტიტულოვანმა სპორტსმენმა ვერ შეძლო.

მანაველი ევროპის ჩემპიონისათვის 2016 წლის დამაგვირგვინებელი გახდა 20 ოქტომბერს, უკრაინის ქალაქ ლუცკში გამართული ევროპის ჩემპიონატი ძალისმიერ სპორტში, რომელშიც ევროპის 12 ქვეყნის 270 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. ამ ასპარეზობაში დემნას საკმაოდ დაკლებულ წონაში – 67-ის ნაცვლად 65 კგ წონით კატეგორიაში მოუწია ასპარეზობა, თუმცა ძალების მობილიზებით შეძლო გამარჯვება და მეორედ იზეიმა კონტინენტის ჩემპიონობა.

ტექნიკური უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის წარჩინებული სტუდენტი და კონტინენტის ორგზის ჩემპიონი ასევე წარმატებულად მონაწილეობს სტუდენტურ საქმიანობაში, სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. არის საქართველოს კასკადიორთა ფედერაციის წევრი და როგორც კასკადიორს მონაწილეობა აქვს მიღებული ინდურ ფილმში „სხვა სამყარო“, ქართულ კინოფილმში „ხიბულა“, სხვადასხვა სარეკლამო რგოლებში, თუმცა უმეტეს ყურადღებას მაინც მკლავჭიდსა და ძალისმიერ სპორტს ანიჭებს.

2016 წლის წარმატებული სტუდენტი და ევროპის ჩემპიონი ამ დღეებში გაზეთის რედაქციაში გვესტუმრა და თავისი სპორტული საქმიანობის შესახებ საუბართან ერთად, გვთხოვა გაზეთის მეშვეობით შობა-ახალი წელი მიგველოცა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. მან ლუცკში გამგზავრებაში დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატ **ივანე ბეჟიაშვილს,** საგარეჯოს მაჟორიტარ დეპუტატ **რომან მუჩიაშვილს** და ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატ **ზაზა გულიკაშვილს** ფინანსური მხარდაჭერისათვის, რომლის გარეშეც, როგორც მან აღნიშნა, ვერ მოხვდებოდა ლუცკის ჩემპიონატზე და ვერც ამ შედეგს აჩვენებდა. იგი ასევე დიდ მადლობას უხდის საგარეჯოს უშუ კონფუგუს კლუბ „არწივის“ ინსტრუქტორს სოსო გრატიაშვილს, იმისათვის, რომ ხელს უწყობდა უსასყიდლოდ ევარჯიშა მათ სპორტულ დარბაზში.

როგორც მან საუბრის დასასრულს აღნიშნა, არ აპირებს მკლავჭიდის მიტოვებას და გადაწყვეტილი აქვს საგარეჯოში შესაბამისი სავარჯიშო დარბაზის დაარსება, სადაც გარს შემოიკრებს სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ ახალგაზრდობას. ჩვენის მხრივ კი ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს ახალგაზრდა ძალოსანს ახალ 2017 წელს და მომავალშიც

გ. ღაგახიშვილი

„თანამშრომლობა უფლებებისათვის“

ვაკეთოთ სიკეთე, რადგან „სიკეთე გადადებია“

მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ყოველთვის მიპყრობილი იყო საერთოდ, ადამიანთა უფლებების დაცვის, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ,ქალთა მიმართ ძალადობისა და ეკომიგრანტებისა თუ ემიგრანტების უფლებათა დაცვისაკენ. ცალკეულ ქვეყნებსა და ქალაქებში, მუნიციპალიტეტში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები მიზანმიმართულ საქმიანობას ეწევიან სწორედ ამ საკითხების მოსაგვარებლად. ერთი ასეთი ***ორგანიზაცია „თანამშრომლობა უფლებებისათვის“*** საგარეჯოს მუნიციპალიტეტშიცაა შექმნილი, რომლის ***დირექტორი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მოწვეული სპეციალისტი*** **ცინარი კონიაშვილია.** იგი ამ ორგანიზაციის მუშაობის შესახებ გვესაუბრება დღეს.

– ორგანიზაცია „თანამშრომლობა უფლებებისათვის“ შეიქმნა 2015 წლის 25 აგვისტოს. იგი ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ეკომიგრანტების და სხვა მოწყვლად ჯგუფებს. 2015 წ. პროექტის „შვილების თანაბარი უფლებებისათვის“ ფარგლებში ჩავატარეთ ოჯახ-ოჯახ კვლევა, მოვიძიეთ ინფორმაცია და ამ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შევქმენით სრულფასოვანი ბაზა (ბაზა, რა თქმა უნდა, განახლებადია), რომელშიც ფიქსირდება 0-დან 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 85 ბავშვი. აქედან 15 ბავშვს არ ჰქონდა სტატუსი. ჩვენი დახმარებით მათ მიენიჭათ სტატუსი და დღეს იღებენ კუთვნილ პენსიას. რა თქმა უნდა, უამრავი პრობლემა აქვთ და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, ვამისამართებთ გარკვეულ სტრუქტურებში. სამწუხაროდ, ეს ზღვაში წვეთია, რასაც ვაკეთებთ. მათ სჭირდებათ უფრო მეტი დოზით გვერდში დგომა და არსებული მდგომარეობის შემსუბუქება. **მადლობა** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსს **სოფო შაძარაშვილს** და ამავე განყოფილების თანამშრომელს **ძეთინო ბედიაშვილს** გვერდში დგომისათვის და დახმარებისათვის.

პროექტის დასრულების შემდეგ შევქმენით მშობელთა ქსელი, რომელიც აქტიურად მუშაობს. გასული წლის 7 იანვარს საგარეჯო-ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსის მეუფე ლუკას და ნინოწმინდის ტაძრის მოძღვრის მამა ვახტანგის (მჭედლიშვილი) კურთხევით ჩავატარეთ „ალილოობა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნინოწმინდისა და პატარძეულის მრევლმა. ასევე, ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათი მშობლები. შემოსული შემოწირულობა გავანაწილეთ 47 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახზე, რისთვისაც მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირეოდენი წვლილი შეიტანა ამ ოჯახების დასახმარებლად, რადგან დღეს უმეტესობას აქვს მძიმე, ეკონომიური გაჭირვება. ბავშვებს აქვთ გარკვეული სურვილები, ოცნებები, მაგრამ, სამწუხაროდ, ოცნება ოცნებად რჩება. სულ ახლახანს მარჯანიშვილის თეატრის ადმინისტრაციის, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით სოფ. ნინოწმინდის საჯარო სკოლის შეზღუდული შესაძლებლობების ,მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები წავიყვანეთ მარჯანიშვილის თეატრში„ – საშობაო სიმღერა“, რისთვისაც ყველას მადლობას ვუხდი. ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფ ნინოწმინდის მაჟორიტარ დეპუტატს*** **ელდარ მეფარიძეს**, რომელმაც კეთილი ნება გამოიჩინა და ამ ბავშვების გზის ხარჯები დააფინანსა.

მადლობა მინდა ვუთხრა ამ ორგანიზაციის სახელით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს*** **ფრიდონ ბურდულს**, რომელიც მუდამ მზად არის დახმარების ხელი გამოგვიწოდოს. მან არაერთხელ გაუკეთა ჩვენს პატარებს საჩუქრები.



და ბოლოს, თხოვნით მიმართავ ყველას – თუ ვინმეს აქვს სურვილი, რომ მომავალში დაეხმაროს ასეთ ბავშვებს, მათ ოჯახებს და სულ ცოტათი მაინც გაულამაზოს ცხოვრება, გთხოვთ მოგვმართოთ ორგანიზაცია „თანამშრომლობა უფლებებისათვის“. გახსოვდეთ, რომ თქვენს მიერ გაღებული ერთი პატარა სიკეთე სიხარულს მიანიჭებს იმ ბავშვებს, რომელთა ოცნებაც და ნატვრაც სულ უმნიშვნელო რამაა.

ამბობენ და დამტკიცებულია – სიკეთე გადამდებიაო!

ვასწავლოთ ბავშვებს სიყვარული

50 წელია ბავშვების აღზრდას ვემსახურები. ამ პერიოდში არაერთი თაობა აღმიზრდია. ყველა ბავშვი ინდივიდია – იგი საზოგადოებიდან თავისებურად აღიქვამს თითოეულ ჩვევას, აანალიზებს და ითვისებს. ამიტომაც ვცდილობთ უფროსი თაობის წარმომადგენლები ბავშვებს მეტი სიყვარული, სითბო, გულისხმიერება, მზრუნველობა ვუჩვენოთ, რომ ისინიც ასეთებად გაიზარდონ. და რაოდენ სასიხარულოა, როცა ისინი ამას ოჯახის წევრებიდან სწავლობდენ. ჩემი აღსაზრდელი – 4 წლის ალექსანდრე გზირიშვილი ახალი წლის წინა დღეებში თოვლის პაპის ტანსაცმელში გამოწყობილი სახლში მესტუმრა და ახალი წელი მომილოცა. ეს დიდი სიხარული იყო ჩემთვის. მათი ოჯახი ქართულ ტრადიციებს ერთგულად მისდევს. მისი პაპა-ბებია – ალექსანდრე და ლალი გზირიშვილები ამ ტრადიციების სიყვარულით ახლა შვილიშვილებს ზრდიან – უპირველესად მათ ადამიანების სიყვარულს, პატივისცემას ასწავლიან.

უმრავლოს საქართველოს ასეთი ოჯახები, მათ მიერ აღზრდილი შვილები.

ციცინო ქარსაულიძე,
საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი

კვირეულმა გააერთიანა ისინი

ის, რაც დაუვიწყარი იქნება...

2016 წელს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიო კვირეულს ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგოდ – „არა ქალთა მიმართ ძალადობას“. აღნიშნულ კვირეულს საგარეჯოს მუნიციპალიტეტიც შეუერთდა, რომლის ხელმძღვანელობაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა გენდერულ საკითხებში მრჩეველმა*** **თამარ ურდულაშვილმა** ითავა. სწორედ კვირეულის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებები: ესეების კონკურსი, ფილმების ჩვენება, ტრენინგები თემაზე „ლიდერობა“, „ოჯახური ძალადობა – გენდერული ძალადობის ერთ-ერთი ფორმა“, მოეწყო აქცია „არა ქალთა მიმართ ძალადობას“.

გენდერული კვირეულის ბოლოს კი დაიგეგმა შემაჯამებელი ღონისძიება სახელწოდებით „ავტოპორტრეტი“. ღონისძიება მოეწყო ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის*** **ფრიდონ ბურდულის** უშუალო მხარდაჭერითა და თანადგომით.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მხატვრები: თამარ იორამაშვილი, თამარ როსტიაშვილი, ალი ასლანიშვილი, თეა ბუზარიაშვილი, ნინო ჯანგულაშვილი, მუსიკოს-კომპოზიტორები – ნელი გულიკაშვილი, მარინა ურდულაშვილი, თამარ შაქარაშვილი, მარინა შანიძე, პოეტები და მწერლები: რომან ზუკაკიშვილი, მანანა ბურდული, თამარ ურდულაშვილი, ნინო ბუზარიაშვილი, გიორგი ქოქიაური, გურამ სამუნაშვილი, მსახიობები – ნათელა დიღმელაშვილი, ნანული ბილანიშვილი, თინათინ მეზვრიშვილი.

ღონისძიებებს მეტი ელფერი შესძინა ქალთა სახალხო ანსამბლმა „ჩინარმა“ (ხელმძღვანელი ნელი გულიკაშვილი), მათ ნელი გულიკაშვილის სიმღერები შეასრულეს ქართული სიმღერები. შეასრულეს ასევე დებმა თამარ, ლალი და მარინა ურდულაშვილებმა.

ღონისძიებაზე მოწვეული იყო საგარეჯოელი კინორეჟისორი დავით ჭიკაძე, რომელმაც სულ რამდენიმე ხნის წინ საგარეჯოს III საჯარო სკოლის შემოქმედ მოსწავლეებთან ერთად მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სხვა ფერი“ გადაიღო. მოწვეული იყვნენ, ასევე, ჟურნალ „ელიტის“ დამფუძნებელი და რედაქტორი საგარეჯოელი ნუგზარ ჭიაბერაშვილი, პოეტები თინათინ მღვდლიაშვილი და ივერი მაისურაძე, არასამთავრობო ორგანიზაციები „სპექტრი“ და „ქალები მომავლისათვის“, საგარეჯოელი ძიუდოისტი გოგონები თინანო რევაზიშვილი და ნატალია ყიფშიძე, მათი მწვრთნელი ლუდა ფერაძე.

ამ ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე მისი ყველა მონაწილე წარსდგა საკუთარი შემოქმედებით, სწორად წარდგენილი, საკუთარი შემოქმედებით ქმნიდა საკუთარ პორტრეტს, ახასიათებდა მის თანამედროვე სახეს და თავისი ქმნილებებით ისეთ შტრიხებს ავლებდა, რომელიც დიდხანს გაჰყვებოდა დარბაზში დამსწრე საზოგადოებას კეთილ და თბილ მოგონებად... მოგონებები, რომლებიც გახსენებთ და შეგახსენებთ, რომ სამყაროში, ბუნებაში თითოეული ქმნილება თავისი ნების, თავისი უფლების გამომხატველია და რომ ეს მისი უფლება ყველამ, თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა დავიცვათ.

ღონისძიებების მონაწილეებს სამახსოვრო დიპლომები გადაეცათ.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

ბიცოლა ციცინო ოსეფაშვილი, ბიძაშვილები ლევანი, ნატალია, დავითი, გელა ტიგინაშვილები, რძლები თამარ ფანოზიშვილი, ეკა რეხვიაშვილი, ნენო ოთარაშვილი, სიძე სოსო ქართლელიშვილი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

გიორგი
იაგოს ძე მათიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.